# 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის 2020 წლის ანგარიში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
რეგიონული განვითარების სამმართველო

# სარჩევი

**შესავალი ..... 2**

**საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2020 წელს გამოცხადებული კონკურსი ..... 3**

**საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი ..... 4**

საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი ..... 5

პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების პროცესი ..... 8

კახეთი ..... 8

იმერეთი ..... 11

გურია ..... 15

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ..... 17

**პროგრამის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები ..... 18**

## შესავალი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერს №628 დადგენილებით. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ოთხ რეგიონში - კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - ინტეგრირებული რეგიონული განვითარების ღონისძიებებს.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი მიზანია საპილოტე რეგიონში ხელსაყრელი გარემოს შექმნა დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისთვის, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას აქვს მკაფიო საპილოტე და სადემონსტრაციო როლი, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული არიან ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა სხვა ჯგუფები.

პროგრამა შემუშავებულია ევროკავშირთან თანამშრომლობით. 2020 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმების შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად ევროკავშირი 54 მლნ. ევროს გამოყოფს, საქართველოში თანამედროვე ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის შესაბამისი რეგიონული განვითარების პოლიტიკის მხარდასაჭერად.

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებულია ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

პროექტების შესარჩევად საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცდა „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესი“, რომელიც აწესრიგებს პროგრამის ფარგლებში პროექტების შემუშავების,

---

აღნიშნული თანხა არ მოიცავს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიმღებების მხრიდან პროექტების თანადაფინანსებას, ამასთან ევროკავშირის დელეგირებული თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებული 8.5 მილიონი ევრო ათვისებული იქნება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ 5 წლის განმავლობაში.

წარდგენის, შეფასების შერჩევის და დაფინანსების წესს, აგრეთვე განსაზღვრას მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობასა და ვალდებულებებს.

წარმოდგენილი ანგარიში შემუშავებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ და მოიცავს 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

## საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2020 წელს გამოცხადებული კონკურსი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების საფუძველს წარმოადგენს წლიური სამოქმედო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მოსაწონებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით შექმნილი საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიას.

მოწონებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2020 წელს გათვალისწინებული იყო ერთი კონკურსის გამოცხადება, რისთვისაც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის N11007 განკარგულებით გამოიყო 5 მილიონი ლარი. გეგმის თანახმად, გამოყოფილი თანხა ფორმულის შესაბამისად გადანაწილდა საპილოტე რეგიონებზე ქვემოთ მოცემული გრაფიკის შესაბამისად:

*გრაფიკი 1: ფინანსების განაწილება საპილოტე რეგიონების მიხედვით*




საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით გამოყოფილი თანხა მიემართა პროგრამის მე-4 პრიორიტეტის - „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“ 4.2 ღონისძიებაზე „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“. აღნიშნული ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნესსაქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული შეთავაზების გაუმჯობესება და შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება. ღონისძიება ითვალისწინებს ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით დაფინანსდება სხვადასხვა სახის

ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციის პროექტების დაფინანსებას. ღონისძიება ითვალისწინებს შემდეგი ტიპის პროექტების დაფინანსებას:

- ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება, მათ შორის, რეკრეაციული ზონების ორგანიზება/რეაბილიტაცია, ქუჩები, ტროტუარები, პარკირების ადგილები, შადრევნები, სკვერები, ძეგლები, ბავშვებისთვის სპორტული მოედანი, სპორტული ობიექტები);
- კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით სახელმწიფო შენობების განახლება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა;
- ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს;
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა;
- ადგილობრივი ბიზნესის ხელშემწყობი სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის განვითარება

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოამზადა საკონკურსო პირობები. საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება 4.2 ღონისძიების „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ფარგლებში, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სრული საპროექტო განაცხადების ერთ-ეტაპიანი კონკურსის გამოცხადების შესახებ 2020 წლის 27 მაისიდან.

## საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და შერჩევის პროცესი

ვინაიდან პროგრამის განხორციელების დაწყებას თან დაემთხვა COVID-2019 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები, გადაწყდა ღონისძიება 4.2 ფარგლებში ერთეტაპიანი სრული საპროექტო განაცხადების კონკურსი გამოცხადდა 27 მაისს და მუნიციპალიტეტებს მიეცათ საპროექტო წინადადებების წარდგენისთვის 14 დღიანი ვადა[2]. გამომდინარე იქიდან, რომ ეს იყო პირველი კონკურსი, საპროექტო წინადადებების შემუშავებაში მთელი პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტებს ეხმარებოდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ექსპერტები.

[2] კალენდარული დღე

## საპროექტო განაცხადების წარდგენისა და შეფასების პროცესი

გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში წარდგენილ იქნა 24 საპროექტო განაცხადი:

1. კახეთი - 8
2. იმერეთი - 9
3. გურია - 4
4. რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 3

საპროექტო წინადადებების შეფასების დროს დადგენილი ხარვეზების, გონივრული ვადის ფარგლებში, გამოსასწორებლად მუნიციპალიტეტებს დაუბრუნდათ 7 საპროექტო განაცხადი (იმერეთი -2, კახეთი - 3, რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 2) საიდანაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა (პროექტი PIRDP/4.2/CfP#I/IMERETI/04) დადგენილ ვადაში ვერ გამოასწორა განაცხადი და გამოეთიშა კონკურსს, აგრეთვე კახეთის რეგიონის პროექტმა PIRDP/4.2/CfP#I/KAKHETI/07 ვერ გაიარა ადმინისტრაციული შემოწმება და გამოეთიშა კონკურსს. ჯამში ადმინისტრაციული შეფასება გაიარა 22-მა პროექტმა.

შეფასების შემდეგ ეტაპზე პროექტები ექვემდებარება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად ტექნიკურ შეფასებას და თითოეული პროექტისთვის შესაბამისი ქულის მინიჭებას. შემდეგ ეტაპზე გადადის მხოლოდ ის პროექტი, რომელმაც მიიღო მაქსიმალური ქულის არანაკლებ 70%.
ექსპერტების შეფასების შედეგად შემდგომ ეტაპზე სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შესარჩევად წარედგინა ჯამში 22 პროექტი:

1. კახეთი - 7
2. იმერეთი -8
3. გურია - 4
4. რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 3

წარდგენილი პროექტებიდან შესაბამისი რეგიონების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა დასაფინანსებლად შეარჩია ჯამში 11 პროექტი.

*ცხრილი 1. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - დეტალურად*

| N | რეგიონი | საიდენტიფიკაციო ნომერი | პროექტის დასახელება | საპროექტო წინადადების წარმდგენი | პროექტის მთლიანი ღირებულება ლარი | მოთხოვნილი თანხის ოდენობა | თანადაფინანსების მოცულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | **იმერეთი** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/01 | საჩხერის გზატკეცილის გასწვრივ, ყოფილ „შამპანის ქარხანა“-სთან სკვერის მოწყობა | საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია | 344801,66 | 327562 | 17 239,66 (5%) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | -მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობით ახალი რეკრეაციული, დასასვენებელი სივრცეების მოწყობა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა | | | | |
| **2.** | **იმერეთი** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/03 | ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია | ვანის მუნიციპალიტეტის მერია | 262 155 | 262 155 | 0 |
| **3.** | **იმერეთი** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05 | ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა სოფელ საწირეში | ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია | 172 784 | 172 784 | 0 |
| **4.** | **იმერეთი** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/07 | ადგილობრივი მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის მყარი ინფრასტრუქტურის, გასართობ-დასასვენებლი სივრცის მოწყობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია | 536 600.62 | 426 942,87 | 109 657,75 (20.4%) |
| **5.** | **იმერეთი** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/08 | ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითრებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა | ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია | 993 993.77 | 970 000 | 23 993,77 (2.4%) |
| **6.** | **<u>კახეთი</u>** | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/01 | მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა-ადგილობრივი ბიზნესის | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 1 402 490 | 897 594 | 504 896 (36%) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | განვითარების ხელშეწყობის მიზნით | | | | |
| 7. | <u>კახეთი</u> | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02 | ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაბანეურში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის საშუალებით საშუალო ბიზნესის- ბაბანეურის მარანის ხელმისაწვდომობის გაზრდა | ახმეტის მუნიციპალიტეტი | 572 919 | 572 919 | 0 |
| 8. | <u>კახეთი</u> | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/04 | ქალაქ თელავში ახალი ბიზნეს-კლასტერის ტერიტორიაზე არსებული გზის რეაბილიტაცია | <u>თელავის მუნიციპალიტეტი</u> | 317 530,13 | 301 653 | 15 876 (5%) |
| 9. | **გურია** | PIRDP/4.2/CFP#1/GURIA/01 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიზნესის განვითარება ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გზით | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია | 261 643.83 | 252 699.19 | 8 944,64 (3.42%) |
| 10. | **გურია** | PIRDP/4.2/CFP#1/GURIA/02 | ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის შექმნით ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარება და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი | 279 157.0 | 279 157.0 | 0 |
| 11. | **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი** | PIRDP/4.2/GFPN1/RACHA-LECHKHUMI AND KVEMO SVANETI/01 | სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია | ცაგერის მუნიციპალიტეტი | 328652 | 318 792 | 9 860 (3%) |

შერჩეული პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით გამოიყო 4 782 259 ლარი, რის შემდეგ მუნიციპალიტეტმა 21 აგვისტოდან დაიწყეს სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერების გამოცხადება, ხოლო 24 სექტემბრისთვის დასრულდა ყველა პროექტზე წინადადების მიღების ვადა. ჯამში ხელშეკრულება გაფორმდა 4 944 391 (წინასწარი ღირებულება 5 472 726 ლარი) ლარის ღირებულების 11 პროექტზე. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მხრიდან თანადაფინანსება საკონკურსო პირობებით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ამ მაჩვენებელმა მაინც შეადგინა 690 467 ლარი (მოთხოვნილი თანხის 14.4%), რაც მუნიციპალიტეტების პროგრამაში მონაწილეობისა და

გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად ათვისების სურვილზე და მუნიციპალიტეტებს შორის კონკურენციაზე მიუთითებს.

ტენდერების დასრულების შემდეგ ეკონომიის მაჩვენებელმა ჯამში შეადგინა 528 335 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 ივნისის N11007 განკარგულებით გამოყოფილი 5 მილიონი ლარიდან ჯამში დარჩენილია 662,897.19 ლარი, კერძოდ რეგიონების მიხედვით:

- კახეთი - 266,745.85 ₾
- იმერეთი - 143,050.04 ₾
- გურია - 209,313.06 ₾
- რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთ - 43,788.24 ₾

*ცხრილი 2. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - ჯამურად*

| **პროექტების ჯამური რაოდენობა** | **პროექტების სრული ღირებულება** | **ბოლო შეთავაზება** | **ღირებულება ხელშეკრულებით ან მისი ცვლილების შემდეგ** | **ეკონომია** | **ფაქტობრივი გადახდები 22.12.2020 მდგომარეობით** | **მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება** |
|---|---|---|---|---|---|---|
| **11** | **5472726** | **4860024** | **4944391** | **528335** | **911373** | **690467** |

პროგრამის საპილოტე ხასიათისა და პროგრამის ფარგლებში პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების და შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა ეფექტიანად, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული პროცესები, რიგი მიზეზების გამო, ვადაში შეფერხებით დაიწყო და სამუშაოების განხორციელება ძირითადად დაიწყო მე-4 კვარტალში.

## პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების პროცესი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად თანხა გამოიყო „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1573 განკარგულებით.

ამ ეტაპზე რეგიონულ ჭრილში პროექტების განხორციელების მხრივ შემდეგი პროგრესი აღინიშნება:

### კახეთი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონიდან 8 საპროექტო წინადადების წარმოდგენა განხორციელდა. წარმოდგენილი 8 პროექტებიდან შერჩეულ იქნა 3 პროექტი.

1. ***ახმეტა -*** სოფელ ბაბანეურთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

პროექტის მყისიერი შედეგები - მოწყობილია 2.74 კმ. ასფალტბეტონის გზა. ამ დროისთვის შესრულებულია სამუშაოების 70%-მდე.

***თელავი*** - ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე ჰიპერმარკეტ „გორგიას“ მიმდებარედ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის მყისიერი შედეგები - რეაბილიტირებულია 668 მეტრი გზა, ფართობი - 4070 მ2. პროექტი დასრულებულია და მიმდინარეობს მიღება-ჩაბარებისთვის მომზადება.

2.

3. ***საგარეჯო*** - მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა

პროექტის მყისიერი შედეგები - დაგებულია 1.664 კმ გზა. ამ დროისთვის შესრულებულია სამუშაოების 50%-მდე, მიმდინარეობს კომუნიკაციების გაყვანის სამუშაოები. პროექტი სრულად დასრულდება 2021 წელს.

*ცხრილი 3. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - კახეთი*

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროექტის N** | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/02 | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/04 | PIRDP/4.2/CfP#1/KAKHETI/01 |
| **მუნიციპალიტეტი** | ახმეტა | თელავი | საგარეჯო |
| **პროექტის დასახელება** | სოფელ ბაბანეურთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე ჰიპერმარკეტ „გორგიას“ მიმდებარედ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები | მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა |
| **მყისიერი შედეგები** | მოწყობილია 2.74 კმ. ასფალტბეტონის გზ ა | რეაბილიტირებულია 668 მეტრი გზა, ფართობი - 4070 მ2 | დაგებულია 1.664 კმ გზა |
| **პროექტის სრული ღირებულება** | 572919 | 317530 | 1402490 |
| **ბოლო შეთავაზება** | 458390 | 254023 | 1260010 |
| **ღირებულება ხელშეკრულებით ან მისი ცვლილების შემდეგ** | 458390 | 233035 | 1260010 |
| **ეკონომია** | 114529 | 63507 | 142480 |
| **ფაქტობრივი გადახდები** | 0 | 10988 | 252000 |
| **ფაქტობრივი გადახდები %** | 0 | 5 | 20 |
| **მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება** | 0 | 15877 | 504896 |
| **ტენდერის გამოცხადების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 24.08.2020 | 24.08.2020 | 24.08.2020 |
| **წინადადების მიღების დასრულების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 15.09.2020 | 14.09.2020 | 14.09.2020 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **შესყიდვის სტატუსი** | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია |
| **გამარჯვებული/მონაწილე კომპანია** | შპს გზამშენი-2005 | საგზაო-სამშენებლო-სარემონტო კომპანია ''სერპანტინი'' | შპს დინ გრუპი |
| **NAT/SPA** | NAT200012823 | NAT200012754 | NAT200012764 |
| **პროექტის სტატუსი** | შესრულებულია სამუშაოების 70%მდე | დასრულებულია და მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება | შესრულებულია სამუშაოების 50%-მდე |
| **ობიექტის საბალანსო ღირებულება** | 0 | 0 | 0 |

### იმერეთი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში იმერეთის რეგიონიდან მოხდა 8 საპროექტო წინადადების წარმოდგენა. წარმოდგენილი პროექტებიდან შერჩეულ იქნა 5 განაცხადი.

1. ***ტყიბული*** - სოფელ საწირეში (სანატორიუმის მიმდ.) ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა

პროექტის მყისიერი შედეგები - რეაბილიტირებული 736 მ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზა. პროექტი დასრულებულია.

2. ***სამტრედია*** - ქ. სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩაზე რკინიგზის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები

პროექტის მყისიერი შედეგები - მოწესრიგებულია 6444 კვ. მ. გასართობ - დასასვენებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურა. ამ დროისთვის სამუშაოების 80% დასრულებულია, დეკემბრის ბოლოსთვის პროექტი სრულად დასრულდება.

3. ***ვანი*** - სოფ. ისრითში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

პროექტის მყისიერი შედეგები - რეაბილიტირებულია 1.2 კმ. საავტომობილო გზა და 24 მ. საფეხმავლო ხიდი. ამ დროისთვის პროექტი დასრულებულია.

4. ***საჩხერე*** - ქალაქ საჩხერეში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა

პროექტის მყისიერი შედეგები - მოწყობილია 1334 კვ. მ-ზე ინფრასტრუქტურა სკვერისა და პარკინგის სახით. ამ დროისთვის შესრულებულია სამუშაოების 30 % და პროექტის დასრულება იგეგმება 2021 წელს.

5. ***ბაღდათი*** - ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია

პროექტის მყისიერი შედეგები - რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა 1440 კვ. მ. ფართით. ამჟამად მიმდინარეობს სადემონტაჟო სამუშაოები. პროექტი დასრულდება 2021 წელს.

*ცხრილი 4. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - იმერეთი*

| **პროექტის N** | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/05 | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/07 | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/03 | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/01 | PIRDP/4.2/CfP#1/IMERETI/08 |
|---|---|---|---|---|---|
| **მუნიციპალიტეტი** | ტყიბული | სამტრედია | ვანი | საჩხერე | ბაღდათი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პროექტის დასახელება** | სოფელ საწირეში (სანატორიუმის მიმდ.) ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა | ქ. სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩაზე რკინიგზის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები | სოფ. ისრითში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | ქალაქ საჩხერეში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა | ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია |
| **მყისიერი შედეგები** | რეაბილიტირებული 736 მ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზა | მოწესრიგებულია 6444 კვ. მ. გასართობ - დასასვენებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურა | რეაბილიტირებულია 1.2 კმ. საავტომობილო გზა და 24 მ. საფეხმავლო ხიდი | მოწყობილია 1334 კვ. კმ-ზე ინფრასტრუქტურა სკვერისა და პარკინგის სახით | რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა 1440 კვ. მ. ფართით |
| **პროექტის სრული ღირებულება** | 172784 | 536600 | 262155 | 344802 | 993993 |
| **ბოლო შეთავაზება** | 162998 | 509277 | 222211 | 344802 | 870023 |
| **ღირებულება ხელშეკრულებით ან მისი ცვლილების შემდეგ** | 162606 | 560095 | 222211 | 344802 | 910085 |
| **ეკონომია** | 10178 | -23495 | 39944 | 0 | 83908 |
| **ფაქტობრივი გადახდები** | 97158 | 188068 | 216391 | 0 | 0 |
| **ფაქტობრივი გადახდები %** | 60 | 37 | 97 | 0 | 0 |
| **მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება** | 0 | 109657 | 0 | 17240 | 23993 |
| **ტენდერის გამოცხადების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 21.08.2020 | 13.07.2020 | 25.08.2020 | 26.08.2020 | 27.08.2020 |
| **წინადადების მიღების დასრულების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 01.09.2020 | 03.08.2020 | 15.09.2020 | 16.09.2020 | 24.09.2020 |
| **შესყიდვის სტატუსი** | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია | ხელშეკრულება დადებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გამარჯვებული/მონაწილე კომპანია** | შპს "ნიუ-იბერია" | შპს არადანი | შპს ჯეო როუდ ინვესტი | შპს მშენსერვისი 55 | შპს იმედი |
| **NAT/SPA** | NAT200012713 | NAT200009950 | NAT200012955 | NAT200013111 | NAT200013176 |
| **პროექტის სტატუსი** | დასრულებულია | სამუშაოების 80% დასრულებულია, დეკემბრის ბოლოსთვის სრულად დასრულდება | დასრულებულია | სამუშაოების 30 % შესრულებულია | მიმდინარეობს სადემონტაჟო სამუშაოები |
| **ობიექტის საბალანსო ღირებულება** | 0 | 330 000 | 0 | 20010 | |

### გურია

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გურიის რეგიონიდან მოხდა 4 საპროექტო წინადადების წარმოდგენა. წარმოდგენილი პროექტებიდან შერჩეულ იქნა 2 განაცხადი.

1. ***ოზურგეთი*** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ბახვში შიდა სასოფლო საუბნო გზის (ჩაის გზა) რეაბილიტაციის სამუშაოები

პროექტის მყისიერი შედეგები - მოწყობილია 955 მ. გზა. პროექტი დასრულდების ფაზაშია.

2. ***ჩოხატაური*** - დაბა ჩოხატაურში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობის (დაბის ცენტრში, მდინარე ორპირას კალაპოტის რკ/ბეტონში მოქცევა და რეკრეაციული ზონის შექმნის) სამუშაოები.

პროექტის მყისიერი შედეგები - რეაბილიტირებულია 2 საავტომობილო ხიდი; რეკონსტრუირებულია 100 გ/მ მდინარის კალაპოტის კედელი; მოწყობილია 173 ცალი ლედ სანათი. ამჟამად შესრულებულია 5%-მდე სამუშაოები. პროექტი ვერ დასრულდება, 2020 წელს გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება 1 თვის წინ გაფორმდა და სამუშაოები საწყის ეტაპზეა.

*ცხრილი 5. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - გურია*

| | | |
|---|---|---|
| **პროექტის ნომერი** | PIRDP/4.2/CfP#1/GURIA/01 | PIRDP/4.2/CfP#1/GURIA/02 |
| **მუნიციპალიტეტი** | ოზურგეთი | ჩოხატაური |
| **პროექტის დასახელება** | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა ბახვში შიდა სასოფლო საუბნო გზის (ჩაის გზა) რეაბილიტაციის სამუშაოები. | დაბა ჩოხატაურში ახალი რეკრეაციულ-დასასვენებელი სივრცის მოწყობის (დაბის ცენტრში, მდინარე ორპირას კალაპოტის რკ/ბეტონში მოქცევა და რეკრეაციული ზონის შექმნის) სამუშაოები. |
| **მყისიერი შედეგები** | მოწყობილია 955 მ. გზა | რეაბილიტირებულია 2 საავტომობილო ხიდი; რეკონსტრუირებულია 100 გ/მ მდინარის კალაპოტის კედელი; მოწყობილია 173 ცალი ლედ სანათი |
| **პროექტის სრული ღირებულება** | 261644 | 279157 |
| **ბოლო შეთავაზება** | 220000 | 264290 |
| **ღირებულება ხელშეკრულებით ან მისი ცვლილების შემდეგ** | 220000 | 279157 |
| **ეკონომია** | 41644 | 14867 |
| **ფაქტობრივი გადახდები** | 43999 | 0 |
| **ფაქტობრივი გადახდები %** | 20 | 0 |
| **მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება** | 8944 | 0 |
| **ტენდერის გამოცხადების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 31.08.2020 | 31.08.2020 |

| | | |
|---|---|---|
| **წინადადების მიღების დასრულების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 22.09.2020 | 21.09.2020 |
| **შესყიდვის სტატუსი** | მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება | გამარჯვებული გამოვლენილია |
| **გამარჯვებული/მონაწილე კომპანია** | შპს "პალადა" | შპს ელიტ ბილდერს გრუპი |
| **NAT/SPA** | NAT200013308 | NAT200013246 |
| **პროექტის სტატუსი** | დასრულების ფაზაში | 5% მდე სამუშაოებია შესრულებული |
| **ობიექტის საბალანსო ღირებულება** | 0 | 0 |

### რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონიდან მოხდა 3 საპროექტო წინადადების წარმოდგენა. წარმოდგენილი პროექტებიდან შერჩეულ იქნა 1 განაცხადი.

1. ***ცაგერი*** - სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია

პროექტის მყისიერი შედეგები - მოწყობილია 968 მ. საფეხმავლო ბილიკი; 3115 კვ. მ დეკორატიული ფილები; 35 ადგილზე გათვლილი ძელსკამი; 4 ერთეული გადასახედი ბაქანი; 200 კვ. მ. საპარკინგე ადგილი; 70 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე დიოდური ლამპიონი. ამ დროისთვის შესრულებულია სამუშაოების 98% და პროექტი 2020 წელს დასრულდება.



*ცხრილი 6. 2020 წელს დაფინანსებული პროექტები - რაჭა ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი*

| | |
|---|---|
| **პროექტის N** | PIRDP/4.2/CfP#1/RACHA-LECHKHUMI AND KVEMO SVANETI/01 |
| **მუნიციპალიტეტი** | ცაგერი |
| **პროექტის დასახელება** | სოფელ საირმის ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი ბილიკების რეაბილიტაცია |
| **მყისიერი შედეგები** | მოწყობილია;:968 მ. საფეხმავლო ბილიკი; 3115 კვ. მ დეკორატიული ფილები; 35 ადგილზე გათვლილი ძელსკამი; 4 ერთეული გადასახედი ბაქანი; 200 კვ. მ. საპარკინგე ადგილი; 70 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე დიოდური ლამპიონი |
| **პროექტის სრული ღირებულება** | 328652 |
| **ბოლო შეთავაზება** | 294000 |
| **ღირებულება ხელშეკრულებით ან მისი ცვლილების შემდეგ** | 294000 |
| **ეკონომია** | 34652 |
| **ფაქტობრივი გადახდები** | 102769 |
| **ფაქტობრივი გადახდები %** | 35 |
| **მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება** | 9860 |
| **ტენდერის გამოცხადების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 24.08.2020 |
| **წინადადების მიღების დასრულების თარიღი(რიცხვი/თვე/წელი)** | 14.09.2020 |
| **შესყიდვის სტატუსი** | მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება |
| **გამარჯვებული/მონაწილე კომპანია** | შპს ჯთბ გოლდენ ეიჯ |
| **NAT/SPA** | NAT200012829 |
| **პროექტის სტატუსი** | შესრულებულია სამუშაოების 85% |
| **ობიექტის საბალანსო ღირებულება** | 0 |

## პროგრამის 2020 წლის განხორციელებისას გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები

მიუხედავათ პროგრამის საპილოტე ხასიათისა და პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელების პირველი გამოცდილებისა პროექტების შემუშავების, შეფასების, შერჩევის და განხორციელების პროცესი შეიძლება დადებითად იქნას შეფასებული, თუმცა პროცესის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ რამდენიმე საკითხი, კერძოდ:

- საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ყოველწლიურად მოწონებული წლიური სამოქმედო გეგმაც და საკონკურსო დოკუმენტაციაც მკაფიოდ განსაზღვრავს პროექტების განხორციელების ვადებს, რაც მიმდინარე წლის ბოლოს არის ხოლმე, თუმცა მიუხედავად ამისა 2020 წლის პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ დამთავრდება 2020 წელს. აქედან გამომდინარე საჭიროა დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება, როგორც ცენტრალურ დონეზე, ასევე მუნიციპალურ და სამხარეო ადმინისტრაციების დონეზეც.
- მნიშვნელოვანია, ადამიანური რესურსების გაძლიერება და გადამზადება იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა მოახერხონ ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტების ჩართულობის გარეშე საპროექტო იდეებისა და სრული საპროექტო წინადადებების აპლიკაციების შევსება და მათი უხარვეზოდ წარდგენა. გარდა ამისა საჭიროა ადამიანური რესურსების გაძლიერება ცენტრალური ხელისუფლების და სამხარეო ადმინისტრაციების დონეზეც. აღნიშნული საკითხი უფრო დიდ აქტუალურობას შეიძენს 2021-2022 წლებში, როდესაც ასათვისებელი თანხები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ეს იყო 2020 წელს.